



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ბორჯომის მუნიციპალიტეტი



განკარგულება:გ-17. 17230558

თარიღი:24/02/2023

**საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის  
ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **სალომე თედელურის** ანგარიში - 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღეშვილის ქ #62)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 37 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად წარმოგიდგინთ საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია მის სფეროს მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

2022 წლის კომისიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 11 წევრით.

უფლებამოსილების ფარგლებში კომისიამ გასული 2022 წლის საანგარიშო პერიოდში გაწია შესაბამისი სამუშაოები. ამ პერიოდში ჩატარდა 5 სხდომა, სადაც გატანილი და განხილული იქნა 7 საკითხი:

ü ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შემუშავების შესახებ.

ü ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

ü „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2022 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 24 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

ü „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

ü ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კომისიის მიერ ასევე განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: ა(ა)იპ „ბორჯომის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი“-ს, ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს, ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი“-ს ანგარიშები 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური ანგარიშის მოსმენა 2021-2022 წელს განხორციელებული

სოციალური პროგრამების შესახებ.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა კომისიის სხდომის ოქმებით.

კომისია აქტიურად იყო ჩართული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვაში.

კომისია აქტიურად იღებს მონაწილეობას როგორც ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე შშმ პირთა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე გამართულ შეხვედრებში და პროექტებში.

კომისია სისტემურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილებისა და განცხადებების განხილვას.

სალომე თედელური

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე